

ჩვენი ნაკლოვანებანი

ჩვენს ხალხს და საზოგადოებას ერთი ჩინებული და მოსაწონარი ღირსება აქვს: ის, რომ ჩვენში ტრაბახობას და კუდაბზიკობას მოკლე ფეხი აბია, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ჩვენში თითქმის არავინ არ მალავს ჩვენი ქვეყნის ნაკლოვანებას. ყველა გულწრფელად აღიარებს, რომ ჩვენს ხალხს ბევრი რამ აკლია, ხეირიან საზოგადოებრივ განწყობილებამდე მისაღწევად. ჩვენი საზოგადო უმცირესას, უძლურესას, სიღარიბეს და ბევრს სხვა უფრო ძნელ სენებს ჩვენში არავინ აღარ მალავს. ყველა დარწმუნებული არიან, რომ ჩვენ მდგომარეობას ბევრი რამ აკლია და სჭირია, და ყველას ესმის, რომ დამალვით არა გაკეთდება რა, რომ შუბი ხალთაში არ დაიმალება. ეს თვისება და ამგვარი გულწრფელი სინანული, დიახვაც, მოსაწონარი და სასარგებლოა ყოველს საზოგადოებაში, და განსაკუთრებით იმისთანაში, როგორც დღეს ჩვენი საზოგადოებას არის.

ჩვენდა საუბედუროდ, ამგვარი სინანული საკმაო როდია, საზოგადოების წარმატების მოსახდენლად. თავის დამდაბლება და სინანული მარტო მაშინ არის ნაყოფიერი და სარგებლიანი, როცა იმას თან საქმე, შრომა, გასწორება და წარმატების სურვილი მოსდევს. ჩვენში კი, ჩვენ ამაებს ვერ ვხედავთ. ჩვენს საზოგადოებაში ყველა დარწმუნებულია, რომ შველა ჩვენს ერთის მშვენიერს დილას ზეციდან ჩამოგვიფრინდება, ისე რომ თვითონ ხელის განძრევაც არ დაგვჭირდება ჩვენი ბედის გაუმჯობესებისათვის. ჩვენი მოქმედება, ამ მხრით, სწორედ იმ ვაჭრის საქმეს ჩამოგავს, რომელსაც ლატარეის ბილეთი უყიდია, და ჰგონია, რომ დღესი იქთ მე არც ჯაფა და არც წვალება მჭირიაო, თავი რისთვის შევიწუხოო, დღეს თუ არა ხვალ ხომ მაინც უნდა მოვიგო ორასი ათასი მანეთიო. და რაკი ის ამ უცნაურ მოგებას პირდაღებული შეჩერებია, მისი ვაჭრობა ეცემა, მისი სერმია ილუპება და მისი მეზობლები კი ძლიერდებიან და მდიდრდებიან მისი მუშტრის გადაბირვით. ჩვენ ამნაირად შევჩერებივართ ერთს უცნაურ იმედს, თითქო ჯადოს, და ველით, როდის იქნება, რომ ყველა ჩვენი განსაცელი აგვაცილოს იმან თავიდან და მოგვავლინოს სამოთხის ბედნიერება თავისი ზღაპრული სულის ჩაბერვით...

რით ვერ მივხვდით ჩვენ ამდენ ხანს, რომ ამგვარი ჩვენი იმედი უსაფუძვლოა, რომ ის ჩვენი დამლუპველი და მომხიბვლელია. ჯერ არსად, არც ერთს ქვეყანაში მაგალითი არ უნახავს კაცს, რომ რომელიმე ხალხი, ან საზოგადოება ამდლებულიყოს სხვისი დახმარებით, თუ არა თავისი საკუთარი შრომით და ჯანით. ადვილად შენაძენი, ნაპოვნი, ნაჩუქარი არც კერძო კაცს დააყრის ხეირს, არც მთელს საზოგადოებას, კაცისთვის და ქვეყნისათვის მარტო ის არის გამოსადეგი და ძვირფასი, რაც იმას თავისი შრომით, ოფლის ღვრით და ბრძოლით შეუძენია. მარტო ამგვარ შენაძენს აფასებს ის, მარტო იმით სარგებლობს გადუქარბებლათ და დასვენებულად,

მარტო იმას ინახავს ძვირფას საუნჯესავით, თავისი შთამომავლობისათვის გადასაცემად. ნაპოვნი და ნაწყალობები კი, თითქმის ყოველთვის, ისევ ისე ადვილად იკარგება, როგორც ადვილად ნაშოვნი იყო...

თუ ამ ჭკმარიტებას დავიმახსოვრებთ და ჩვენს მდგომარეობას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ჩვენი საზოგადოება სრულიადაც არ შრომობს იმ ნაკლულევანებათა მოსასპობლად, რომელნიც ჩვენს ხალხს აუძლურებს. მაგალითად, ავიღოთ თუნდაც ერთი ნაკლულევანება: უმეცრება. ვინ ებრძვის ჩვენში ამ სენს, ვინ ცდილობს მის მოსპობას? ჩვენ ყველანი შეეჩერებივართ მთავრობას, და მოველით რომ ის ყოველგან შკოლებს დაგვიხსნის და გაგვიმართავს. მართალია, ეს მთავრობის მოვალეობაც არის, და მისთვის საჭიროებასაც შედაგენს, მაგრამ მთავრობა ხომ ყველას ვერ აუდის, როგორც ჩვენ თვითონ ვხედავთ ჩვენ რომ ჩვენი სარგებლობა გვესმოდეს და ჩვენ მდგომარეობაზედ რომ ვზრუნავდეთ, განა ჩვენ თვითონ ამდენ ხანს ათ იმოდენ სკოლებს არ გავმართავდით, რამდენიც ჯერ ჩვენში მთავრობას გაუხსნია? აი მივხედოთ სომხების მაგალითს: რა რიგად ავრცელებენ ისინი თავიანთ სკოლებს, რამდენს ახლებს ხსნიან თითოეულ სოფლებში, და რა ნაირად ცდილობენ, რომ მათთვის ხეირიანი მასწავლებლები გამოზარდონ, გონიერი სახელმძღვანელოები გამოსცენ. წელიწადი არ გავა მათთვის, რომ ოცი, ოც-დახუთი სასწავლებელი არ გახსნან სადმე, რომ ათი -თხუთმეტი ახალ-ახალი სახელმძღვანელო არ დაბეჭდონ, და მიდის მათი საქმე ჩინებულად, ვრცელდება სომხურ საზოგადოებაში განათლება. ძლიერდება და იხსნება სომხობა, ისე, რომ ვისაც სომხური საზოგადოება ჩვენში ამ მოცი წლის წინათ უნახავს, ის მას დღეს ვერც კი სცნობს, - იმ რიგად წარმატებაში შესულა ის ამ მოკლე ხანში!

რომელ მხარესაც უნდა მოვაქციოთ ყურადღება, ჩვენ ქვეყნის ცხოვრებაში, ყოველგან დავინახავთ, რომ ჩვენ სრულიად არაფერს არ ვაკეთებთ, ჩვენი საზოგადოების და ქვეყნის წარმატებისათვის არც სკოლების საქმეში, არც მწერლობაში, არც ეკონომიურ ცხოვრებაში, არც ხალხის ზნეობით გაწვრთნაში. ჩვენ არავითარ შრომას არ ვიღებთ თავზე, არას ვამზადებთ და არას ვარიგებთ. ჩვენი ცხოვრება ხავსმოკიდებული და შეჩერებულია, და მარტო სხვის შემწეობის ცდაში და ლოდინში ვლევთ ჩვენ ჩვენს უმოქმედო და უმიზნო დღეებს.

განა შეეფერება ამგვარი უმოძრაობა და უმოქმედობა იმისთანა ხალხს, რომელსაც ჩვენისთანა წარსული ჰქონდა და რომელსაც უკეთესი მომავლის იმედი აქვს? განა სათაკილო არ არის, რომ ამგვარ უმოქმედო ცხოვრებას მისცემია არა თუ ჩვენი გაუნათლებელი საზოგადოება, არამედ ჩვენი „განათლებული“ ახალგაზრდობაც? შეფერის განა ამნაირი სულმოკლეობა ჩვენს დროს და ჩვენს მდგომარეობას?

დროა, თვალი გამოვახილოთ და დავრწმუნდეთ, რომ დამხმარებელი და გამკეთებელი ჩვენ ჩვენს თავზე უკეთესი არასოდეს არ გვეღირსება. დროა დავრწმუნდეთ, რომ მარტო ჩვენი საკუთარი ნიადაგი, დაუშრობელი და დაულალავი შრომა მოგცემს კეთილდღეობას და წარმატებას აღირსებს ჩვენს ქვეყანას. ჩვენ ჩვენი ვიმეცადინოთ, ჩვენი ქვეყნისთვის ვიზრუნოთ, მისი მდგომარეობა ვაუმჯობესოთ, და, მაშინ, თუ ვინმე მოინდომებს ჩვენ დახმარებას და ხელის მომართვას, ხომ უკეთესი; თუ არ მოინდომებს ის ჩვენი ნაშრომი და შენაძენი ხომ ხელიდან მაინც არ წაგვივა, და ისევ ჩვენ დაგვრჩება. და თუ ჩვენ თვითონ არ ვეცდებით, თუ ჩვენ დოყლაპიასავით პირდაღებული სხვის შემწეობას შევაჩერდებით, მაშინ, ბევრი რამეც რომ მოგვანიჭონ, ჩვენ იმით ვერ ვისარგებლებთ. მაშინ ამ მონიჭებულსაც ჩვენ სხვა ვინმე მეზობელი, ჩვენზე უფრო ჭკვიანი და მოხერხებული ხელიდან გამოგვტაცებს და თავისთვის მოიხმარს, ამიტომ რომ ის ჩვენზე უფრო გამოცდილი და დახელოვნებული იქნება ყოველი სიკეთის და საუნჯის შექმნაში და განსაკუთრებით გამოყენებაში.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა ელენე მეგრელიშვილმა

25 აპრილი, 2020 წელი

#დარჩი სახლში.